პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — 1978

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

☐ სამშაბათი 8 აგვისტო, 1978 წ. ☐ № 185 (17229) ☐ ფასი 2 კაპ.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

მთათუშეთში გზის მშენებლობაზე. სურათზე: მოწინავე მბურღავი ნოდარ აბესაძე.

ს. ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გზის მშენებლობის შესახებ იხილეთ სტატია მესამე გვერდზე).

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐ — ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ!

ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ, ᲣᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲝᲓ ᲓᲐᲕᲐᲑᲘᲜᲐᲝᲗ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ!

ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲮᲘᲑᲠᲔᲑᲐ



ᲒᲣᲨᲘᲜ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ

Მ. ᲐᲜᲔᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, რომელიც სოფლტექნიკის გორის რაიონის გაერთიანების კომბაინერია, ხელოუფლების კოლმეურნეობაში გუშინ 8 ჰექტარის ნაცვლად 10 ჰექტარი პურეული მომკა და ჰექტარზე საშუალოდ 50 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

Გ. ᲪᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ამავე რაიონის ტყვარის კოლმეურნეობაში გუშინ 7 ჰექტარი პურეულის მოსავალი აიღო და საშუალოდ ჰექტარზე სარეკორდო — 70 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

3. ᲞᲐᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ თეთრი წყაროს რაიონის ჯორჯიაშვილის საბჭოთა მეურნეობაში გუშინ 8 ჰექტარის ნაცვლად 10 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ 20 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

6. ᲙᲐᲕᲔᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ქარელის რაიონის ფცის საბჭოთა მეურნეობაში გუშინ 8 ჰექტარის ნაცვლად 10 ჰექტარი პურეული მომკა და ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

Ფ. ᲙᲐᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ამავე საბჭოთა მეურნეობაში 10 ჰექტარი პურეულის მოსავალი აიღო და ამით დღიურ ნორმას 2 ჰექტარით გადააჭარბა, საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

6. ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ბოლნისის რაიონის რატევნის საბჭოთა მეურნეობაში 8 ჰექტარის ნაცვლად 10 ჰექტარი პურეულის მოსავალი აიღო და თითოეულ ჰექტარზე 30 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

Მ. ᲚᲐᲜᲩᲐᲠᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ამავე საბჭოთა მეურნეობაში გუშინ 8 ჰექტარის ნაცვლად 9 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

Ა. ᲛᲔᲑᲠᲔᲕᲔᲚᲘᲡᲐ ხაშურის რაონის ზემო ქართლის კოლმეურნეობაში გუშინ 8 ჰექტარის ნაცვლად 9 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 25,5 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ გამარჯვება მოიპოვეს გეგეჭკორისა და ხჩოროწყუს რაიონების საკვებდამამზადებლებმა. მათ ამაღაწინათ სამშობლოს უპატაკეს სენაჟის დამზადების წლიური გეგმა-ვალდებულების შესრულება. გეგეჭკორია რაიონის მეურნეობებში მომარაგებულია 7.600 ტონა სენაჟი, წლიური ვალდებულებით გათვალისწინებული 7.000 ტონის ნაცვლად, ხოლო ხჩოროწყუს რაიონში — 5.453 ტონა — ვალდებულებაზე 454 ტონით მეტი.

ბევრ შეასრულებენ ამ სახეობის საკვების დამზადების წლიურ ვალდებულებას ხაშურის რაიონის მეურნეობებიც, სადაც გეგმა-ვალდებულება 97,5 პროცენტითაა შესრულებული, დმანისის რაიონის მეურნეობანი — 95,1, საჩხერის რაიონის მეურნეობანი — 94,9, თერჯოლისა — 92,8, ახალციხისა — 90,1 და რესპუბლიკის სხვა რაიონების მეურნეობანი.

საკვების დამზადება გადამწყვეტ ფაზაშია — ახლა ზაფხულის უკანასკნელი თვეა. მაგრამ, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ ნელა მუშაობენ. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული მონაცემებით, 4 აგვისტოსათვის სენაჟის დამზადების გეგმა-დავალება ბოგდანოვკის რაიონმა შეასრულა 15,7 პროცენტით, ლენინის რაიონმა 15, ონისა — 11,5, ამბროლაურისა — 12,5, წალენჯიხის რაიონმა — 13,3 პროცენტით. ამ მნიშვნელოვანი სახეობის საკვების დამზადებაში ჩამორჩენიან სხვა რაიონებიც. სულ რესპუბლიკაში მომარაგებულია 577.564 ტონა სენაჟი, რაც წლიური გეგმა-ვალდებულების 63,5 პროცენტს შეადგენს.

ყაირათიანი მეურნე ითვლის არა მარტო მომარაგებული საკვების ტონებს, არამედ მასში პროტეინისა და კაროტინის შემცველობასაც. აი რატომ არის, რომ სულ უფრო მეტი უპირატესობა ენიჭება ვიტამინიან ბალახის ფხვნილს — საკვებს, რომელიც უეთიანობით მარცვლეულის ფურაჟს უახლოვდება, ხოლო ბიოლოგიური სრულფასოვნებით სჯობნის კიდეც მას. ამ ცილოვან-ვიტამინიანი კონცენტრატის მნიშვნელოვანი რაოდენობა მარნეულის რაიონის მეურნეობების წილად მოდის. აქ უნდა მომამარაგონ 16.150 ტონა ეს საკვები. რაიონის სპეციალიზებულ მეურნეობებში უხარიანად მიუდგნენ ამ მნიშვნელოვან კამპანიას და უკვე დაამზადეს 6.910 ტონა ბალახის ფხვნილი — გეგმა-ვალდებულების 55,2 პროცენტი.

ამ საკვების გამოშვების გადიდების პირობები ყველგან არსებობს. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ მეურნეობებში ბალახის ფხვნილის მარაგი ნელა მატულობს. ნელი ტემპით აწარმოებენ ვიტამინიანი ფხვნილის წარმოების დავალებას ლაგოდეხის, თეთრი წყაროს, ცხაკაიასა და სხვა რაიონების მეურნეობები. სულ რესპუბლიკაში მომარაგებულია 13.863 ტონა ბალახის ფხვნილი — დავალების 40,2 პროცენტი.

საჭიროა უახლოეს წლებში დაჩქარდეს ამ მნიშვნელოვანი საკვების წარმოების ტემპი, მოგვარდეს აგრეგატების ორცვლიანი მუშაობა, გამოძიებნოს ნედლეულის დამატებითი წყაროები, გამოყენებულ იქნეს ამისათვის მეცხვარეობის ნარჩენები. არ უნდა დავიიწყოთ, რომ ბალახის ფქვნილი ამდიდრებს ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის საკვებს, ამცირებს კონცენტრატების ხარჯვას საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქტიულობისათვის ზიანის მიუყენებლად.

(საქინფორმი).

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲔ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲗ!

ᲜᲐᲖᲘᲙᲝ შეროზია საშუალო სკოლის მერხიდან კომკავშირული საგზურით ერთი წლის წინ მივიდა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოდ. მან შარშანვე მოკრიფა და მრეწველობას ჩაბარა 3.750 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

წლეულს ნაზიკო შეროზიამ ვალდებულება იკისრა მოკრიფოს 5.500 კილოგრამი „მწვანე ოქრო“.

ხელმარჯვე გოგონა ვალდებულების გახანგრძლივებლად ადრე დილიდან გვიან ღამემდე ჯარასავით ტრიალებს პლანტაციებში. დღემდე მოკრეფილი აქვს 3.500 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. სეზონის ბოლომდე გადაწყვეტილი აქვს ნაკისრი გადიდებული ვალდებულების პირნათლად განაღდება. ᲮᲔᲠᲗᲘ: ნაზიკო შეროზია.

ა. ᲫᲣᲤᲣᲜᲘᲡ ფოტო.

ᲛᲝᲯᲝᲕᲔᲑᲣᲚᲡ ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲗ

ᲛᲘᲜᲓᲘᲜᲐᲠᲐ დამკვრელური წელი მეტად ნაყოფიერი გამოდგა ჩვენი საწარმოო გაერთიანების კოლექტივისათვის. განვლილ ექვსი თვეში გეგმა ყველა მაჩვენებლების მიხედვით წარმატებით შესრულდა.

საერთო პროდუქციის წარმოების დავალებას — 4 მილიონ 750 ათასს მანეთს — 83 ათასი მანეთით გადააჭარბეთ, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის დაგეგმილ მაჩვენებელს 71 ათასი მანეთით.

ჩვენთან ამ ბოლო დროს ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ბათუმელ მანქანათმშენებელთა ინიციატივის პატივსაცემად, რომელიც საწარმოო ფირმობის მაქსიმალურ გამოყენებას ითვალისწინებს. სწორედ ბათუმელი კოლეგების ინიციატივას უნდა ვუმადლოდეთ, რომ გაერთიანების საწარმოებში დღითი დღე სულ უფრო მეტი უუარადება ექცევა ამ მეტად სასარგებლო სიახლეს.

კოლექტივის თავდადებულ შრომასთან ერთად ჩვენი წარმატებები ბევრად განპირობა არსებული ძაწარმოს სიმძლავრეებისა და რეზერვების მაქსიმალურმა გამოყენებამ, რასაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ.

განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერების ზრდამ 3,8 პროცენტს მიაღწია, რის ხარჯზედაც წარმოებულია 174 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. მომხმარებლებს — რესპუბლიკისა და ქვეყნის კვების მრეწველობის საწარმოებს შეკვეთები დროულად გაეგზავნათ.

გაერთიანების კოლექტივი არ შეანელებს წლის პირველ ნახევარში აღებულ შრომის ტემპს, პირიქით, იცდება გაზაფხოლ მიღწეული წარმატებები, რათა თვალსაჩინო შედეგებით შეხვდეს შეათე ხუთწლედის მომავალ მეოთხე წელს.

Ჯ. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ,
„საქვლინომანქანათმშენის“ გაერთიანების გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, მთავარი ინჟინერი.

„ᲡᲐᲚᲘᲣᲢ-6“ — „ᲡᲝᲘᲣᲖ-29“

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 7 აგვისტო. (საკუთარი). „სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ეკიპაჟი კვლავ ასრულებს გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების დაგეგმილ პროგრამას.

5 აგვისტოს მოწყობილი მოძრაობის ტრაექტორიის კორექციის შემდეგ კომპლექსის ორბიტის პარამეტრები შეადგენს:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 339 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 328 კილომეტრი;

— მოძრაობის პერიოდი — 91,3 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამით დანაფარი „კრისტალზე“ დამთავრდა „მორეგი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი. ექსპერიმენტი შემდეგ-ობდა ეახეკარგამტარი მონოკრისტალის ანტიმონით ინდიუმის მიღებას მიზნით. დღეს კოსმონავტები ვლადიმერ კოვალიონოკი და ალექსანდრე ივანჩენკოი ასრულებენ ცალკეული სპარტო სისტემების პროფილაქტიკურ და სარემონტო აღდგენებს, ამზადებენ მეცნიერულ აპარატურას მომავალი კვლევისათვის.

სამედიცინო კვლევა პროგრამით ბორტინჟინერი დღეს აწარმოებს გულის ბიოელექტრონული აქტიურობის დინამიკური გამოკვლევას. ამ დროს ელექტროკარდიოგრამის რეგისტრაცია დღეღამის განმავლობაში ჯანმრთელი ხორციელდება ჰორიზონტალი ,ვერტიკალურ ,ვერტიკალურ ,ორ ,ერ ,ერ ,ერ

კომუნიზმისათვის — ადამიანის კეთილდღეობისათვის

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხები“ — გამოსვლის გამო

ПРАВДА 7. VIII

ყოველივე ის, რაც კომუნისტურმა პარტიამ გააკეთა საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, მეცნიერებისა და კულტურის აყვავების, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისა და ადამიანთა ურთიერთობაში კეთილშობილური იდეალებისა და ნორმების გამარჯვებისათვის, ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ახალი საზოგადოების უმაღლესი მიზანია ადამიანის კეთილდღეობა, მისი ყოველმხრივი განვითარება.

ამ მიზნის გზაზე უდიდესი ისტორიული მონაპოვარია ახალი, საბჭოთა ადამიანი. ეს არის, თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა XXV ყრილობაზე, — „ადამიანი, რომელმაც მოიპოვა თავისუფლება და შეძლო დაეცვა იგი უმძიმეს ბრძოლებში. ადამიანი, რომელიც აშენებდა მომავალს, ძალ-ღონეს არ ზოგავდა და არავითარ მსხვერპლს, არ ერიდებოდა. ადამიანი, რომელმაც ყველა განსაცდელს გაუძლო და თვითონაც უმაგალითოდ შეიცვალა. შეისისხლხორცა იდეური მრწამსი და უზარმაზარი საფიცარსლო ენერგია, კულტურა, ცოდნა და მათი გამოყენების უნარი. ეს არის ადამიანი, რომელიც მგზნებარე პატრიოტია და ამასთანავე იყო და ყოველთვის იქნება თანმიმდევრული ინტერნაციონალისტი“.

ლენინური პარტიის მრავალმხრივი საქმიანობა, რომელიც ხელმძღვანელობს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესს ახალი საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხების“ ძირითად შინაარსს შეადგენს.

ორტომიანი კრებული, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა, მოიცავს პერიოდს 1964-დან 1978 წლამდე, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენი სოციალისტური საშობლოს ისტორიაში. ეს პერიოდი წიგნში შთამბეჭდავად არის ასახული როგორც საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის პერიოდი პარტიის XXIII, XXIV, XXV ყრილობების მიერ მიღებული გრანდიოზული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განხორციელებისათვის. ამ პერიოდში ოქტომბრის საშობლომ მიაღწია განვითარებული სოციალიზმის მიჯნას, სსრ კავშირმა, სხვა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს საერთაშორისო ასპარეზზე, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებში, სიტყვებში, სტატიებში, მისალმებებში ყოველმხრივ არის გაშუქებული პარტიის იდეოლოგიური საქმიანობა, განხილულია საბჭოთა ადამიანების იდეური მრწამსის, მაღალი მოქალაქეობრივობის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლის, კადრების პოლიტიკის, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის საკითხები. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამობილი მსოფლიო რევოლუციური პროცესის ანალიზს, ბურჟუაზიული იდეოლოგიის, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს. წიგნი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხების“, რომელიც შეიცავს თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების პროცესების ანალიზზე დაფუძნებულ თეორიულ დებულებებსა და დასკვნებს, დიდი წვლილია მეცნიერული კომუნიზმის თეორიაში.

სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოება შენდება შეგნებულად და გეგმაზომიერად. მას პერსპექტივებს, განვითარების მიმართულებებს პარტია განსაზღვრავს ისტორიული პროგრესის მეცნიერულად შეცნობილი კანონების საფუძველზე. აი რატომ არის, რომ არც ერთ სოციალისტურ საზოგადოებას არ სჭირდებოდა და არ სჭირდება მეცნიერული თეორია ისე, როგორც სოციალისტურ საზოგადოებას.

მთელ თავის მრავალფეროვან საქმიანობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს მარქსის, ენგელსის, ლენინის დიადი მოძღვრებით, სათუოად ინახავს და ამრავლებს ცოდნას საზოგადოებისა და მისი პროგრესის ობიექტურად განპირობებული კანონების შესახებ. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი დამაჯერებლად მოწმობს, რომ პარტია ცოდნის ფასდაუდებელ კაპიტალს გაბედულად იყენებს პოლიტიკურ პრაქტიკაში, დღენიადაგ ზრდის მემკვიდრეობით გადმოცემულ თეორიულ სიმდიდრეს. იგი ეყრდნობა რევოლუციური მეცნიერების საიმედო საფუძველს, იგი სახავს საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითი შრომის გეგმებს, აშუშავებს ეკონომიკურ სტრატეგიას, განსაზღვრავს პოლიტიკურ კურსს; სწავლობს და განაზოგადებს მიღწეულს, მილიონთა ცოცხალ გამოცდილებას, დროის თავისებურებებს და გვაძლევს წამოჭრილი პრობლემების ახალ თეორიულ გადაწყვეტებს.

არსებითად ახალი თეორიული ამოცანები დაისახა ჩვენი პარტიის წინაშე სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებასთან დაკავშირებით. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომების ორტომეულში ღრმად და ყოველმხრივ არის გაშუქებული საბჭოთის ჭიერ ჩვენი დღეებისათვის უმაღლესი საზოგადოებრივი პროგრესის — განვითარებული სოციალიზმის კანონზომიერებანი და თავისებურებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სპეციფიკა იმ პირობებში, რომლებიც განსაზღვრავს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაშლას, აჩქარებს საზოგადოების მოძრაობას სოციალური ერთგვაროვნებისაკენ, აღორძინებს საერთო-სახალხო სახელმწიფოს, ავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას, აუმჯობესებს მოსახლეობის კეთილდღეობას, კულტურას, მის ინფორმირებას და ა. შ.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე მარქსიზმ-ლენინიზმი მთელი ჩვენი ხალხის იდეური დროშა გახდა. ეს არის უდიდესი მონაპოვარი პარტიისა, რომელმაც საბჭოთა ხალხი დარაზმა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ერთიან, მუდმივ მზარდ კავშირად. ამ სოციალურ საფუძველზე მუშათა კლასის იდეოლოგია გახდა ოქტომბრის სახელმძღვანელო ოქტომბრის ქვეყნის თითოეული მშრომელისათვის, ხოლო კომუნისტური იდეალები — იქცნენ ყოველი საბჭოთა ადამიანის იდეალად.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უმეჩის მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ პოლიტიკას. მისი ღრმა მეცნიერული, რეალისტური ხასიათი, ჰუმანიზმი მკაფიოდ არის ახასიათებული წიგნში როგორც იმ მიზნების თანამიმდევრული ხორციშესხმა, რომელთა საკითხელდეოდ კომუნისტებმა მსოფლიოში აღმართეს თავისი თეორიის დროშა, რომელთა საკითხელდეოდ ხდებოდა და ხდება სოციალისტური რევოლუციები, შრომობენ მომავე ქვეყნების ხალხები. ეს არის ყველა მოქალაქის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის, ცხოვრების საუკეთესო პირობების უზრუნველყოფა, კულტურის უმაღლეს ღირებულებათა გადაქცევა ხალხის უფროთესი მასების ყოფნილებად, პიროვნების ჭეშმარიტად ჰარმონიული განვითარებისათვის შესაძლებლობათა შექმნა.

კრებულის ერთ-ერთი ძირითადი თემაა პარტიისა და ხალხის დღენიადაგ მზარდი ერთიანობა. მთელ თავიანთ მიღწევებს, ყველა გამარჯვებას საბჭოთა ადამიანები პარტიას უკავშირებენ. და ეს გასაგებია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუყოფელია ხალხისაგან. იგი ემსახურება ხალხს, მის რიგებში გაერთიანებული არიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. იგი სარგებლობს მშრომელთა უსაზღვრო ნდობით და ყველაზე მეტად აფასებს ამ ნდობას „...პარტიის ყოველგვარი გადაწყვეტილება, თითოეული ნაბიჯი პოლიტიკაში, ორგანიზაციულ და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში, — წერს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — უნდა იყოს ისეთი, რომ კიდევ უფრო შტკიცდებოდეს პარტიისა და ხალხის ერთიანობა, რომ ხალხის ნდობა პარტიისადმი კვლავაც ურყევი დარჩეს“. (ტ. 2, გვ. 397). ეს ერთიანობა ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების უდიდესი სიმტკიცის წყარო, ჩვენი შემდგომი გამარჯვებების გარანტიაა.

კომუნიზმისაკენ წინსვლის გზაზე, როგორც კრებულის მასალებშია ნაჩვენები, დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა ეროვნული საკითხის ჭეშმარიტად ლენინური გადაწყვეტა, რომელმაც კაცობრიობა უდიდესი გამოცდილებით გაამდიდრა. შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ერების შემდგომი აყვავებისა და დაახლოების მზარდი პროცესი სწვდება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, აერთიანებს სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეთა პატრიოტულ გრძნობებს და ინტერნაციონალისტთა შეგნებას.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ერთგული ჩვენი პარტია არასდროს არ გამომყოფდა საბჭოთის, მისი ხალხების ბედს სხვა ქვეყნების, მთელი მსოფლიოს ხალხების ბედისაგან. საგარეო პოლიტიკაც, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და ხალხთა თავისუფლების განმტკიცებას, საშინაო პოლიტიკაც, რომელიც მიზნად ისახავს კომუნიზმის აშენებას, საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს შეესაბამება და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგრძნობი წვლილია მთელი პლანეტის კომუნისტების, მთელი პროგრესული ძალების საერთო ბრძოლაში კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ახასიათებს იმ დაუცხრომელ, მიზანდასახულ მუშაობას, რომელსაც ჩვენი პარტია ეწევა სოციალიზმის მოძმე ქვეყნების თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებისათვის სუვერენიტეტის, თანასწორუფლებიანობისა და ძმური ურთიერთდახმარების საფუძველზე (იხ. ტ. 1, გვ. 169). ინტერნაციონალიზმი იყო და არის კომუნისტური პარტიებისა და მუშათა მოძრაობის ნაცადი იარაღი.

უკანასკნელ წლებში შესამჩნევად ძლიერდება მოძმე პარტიების თანამშრომლობა იდეოლოგიის დარგშიც. ეს ღრმად გამართლებულია. კომუნისტების ზენერალური ხაზი იდეოლოგიის საკითხებში არსებითად ერთიანი ხაზია. ერთობლივი მუშაობა, გამოცდილების გაზიარება თითოეულ მოძმე პარტიას ეხმარება ამამაღლოს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე. უფრო წარმატებით გამოვიდეს ორი სოციალური სისტემის იდეოლოგიურ კონფრონტაციაში.

მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიის გამარჯვება სსრ კავშირში, წარმატებანი, რომლებსაც კომუნიზმის მშენებლობაში აღწევს საბჭოთა ხალხი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირების განმტკიცება და ავტორიტეტის ზრდა ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის მონაპოვრებია. ისინი არავის არ ტოვებენ გულგრილს, იწვევენ ყველა ჩვენი შეგობრის კანონიერ სიხარულს, კლასობრივი მტრების სიძულვილს.

იმპერიალიზმი და მისი იდეოლოგები სულ უფრო გაწაფულ მეთოდებს მიმართავენ, რათა გააუქმონ ან ხალხი გაუტეხონ ჩვენს იდეალებს, ჩირქი მოსცხონ ჩვენს მიზნებს ხალხების თვალში, შეაფერხონ ჩვენი წინსვლა. პარტიას, მის ორგანიზაციებს თავიანთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიაჩნიათ განუხრელი ზრუნვა. თითოეული საბჭოთა ადამიანის იდეოლოგიური წრთობისათვის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ შეტევითი ბრძოლის გაძლიერებისათვის. ეს კლასობრივი ბრძოლაა, ორი საწინააღმდეგო მხოფლმხედველობის ბრძოლა, და მასში ადგილი არ უნდა იქნეს ნეიტრალიზმსა და კომპრომისებს. აქ, აღნიშნავს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, „გვმართებს მაღალი პოლიტიკური სიფხიზლე, აქტიური, ოპერატიული და დამაჯერებელი პროპაგანდისტული მუშაობა, მტრული იდეოლოგიური დივერსიების დროული მოგერიება“ (ტ. 2, გვ. 169).

პარტია იდეოლოგიურ ბრძოლას მიიჩნევს უწინარეს ყოვლისა ადამიანისათვის, მისი ღირსებისა და თავისუფლების, სოციალიზმისა და კომუნიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლად, საერთაშორისო მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებისათვის ბრძოლად. ჩვენს მხარეზეა ისტორიის დიადი სიმართლე. გავაგებინოთ და მივაწვდინოთ იგი ასმილიონნახევარ ადამიანს, მათ შორის, სოციალისტური სამყაროს საზღვრებს გარეთ, — ეს ჩვენი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა იდეოლოგიურ ბრძოლაში. სწორედ ისტორიის სიმართლე, მოწინავე კლასის, პროგრესისა და მშვიდობის ძალების სამსახური აქცევენ კომუნისტურ იდეოლოგიას შემტევ იდეოლოგიად.

კრებულში ღრმად არის გაანალიზებული იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებანი თანამედროვე პირობებში, მტკიცედ და გადაჭრით არის დაგმობილი იმპერიალიზმის აპოლოგეტთა ცდები გამოიყენონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება სოციალიზმზე თავდასხმის აქტივიზაციისათვის.

დაძაბულობის შენელება, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნა ვერ გააუქმებენ იდეების ბრძოლას, ისევე როგორც საერთოდ კლასობრივ ბრძოლას, და ამაში არავითარი წინააღმდეგობა არ არის, აღნიშნულია წიგნში. რახან ქვეყნად არსებობენ. უფრო ზუსტად, თანაარსებობენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოები, მაშასადამე, თანაარსებობენ ამრეთვე ამ წყობილებებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა შეხედულებანი, იდეები, იდეოლოგიები. მთავარია სხვა, წერს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი: მთავარია იდეოლოგიური ბრძოლა არ გადაზარდოს „ფსიქოლოგიურ ომად“, არ იქნეს გამოყენებული სახელმწიფოებისა და ხალხების საშინაო საქმეებში ჩარევის საშუალებად, არ მოჰყვეს პოლიტიკური და სამხედრო კონფრონტაცია (იხ. ტ. 2 გვ. 323).

ორტომეულში გამოქვეყნებული მასალები აშკარავებენ მაო იზმის ანტილენინურ, ანტისოციალისტურ იდეურ-პოლიტიკურ არსს, პეკინელი ლიდერების გამთიშველ საქმიანობას, მათს რეაქციულ პოზიციებს თანამედროვე ძირითად საკითხებში, ზოგიერთი სხვა ქვეყნის ცდებს გამოიყენონ მაოისტთა დიდმპყრობლური. შოვინისტური კურსი ანტისაბჭოურ თამაშში, მაოიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისაგან განდგომის პრინციპული კრიტიკა დიდმნიშვნელოვანი წვლილია სოციალისტური თანამეგობრობიბან, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკაც ფუძემდებელია ამ ფენომენისა. ეს ბრძოლაც რეაქციის, მილიტარიზმისა და აგრესიის ძალების წინააღმდეგ ხელს უწყობს სსრ კავშირსა და მოძმე ქვეყნებში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის სახიერთო პირობებს უზრუნველყოფას, კაცობრიობის პროგრესს.

ოქტომბრის უდიდესი მონაპოვარი, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების მძლავრი ფაქტორი გახდა სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრება. არც ერთ საზოგადოებას არ გაუკეთებია და ვერც გააკეთებდა იმდენს ხალხის მასებისათვის, მშრომელებისათვის, რამდენიც სოციალიზმმა გააკეთა. საბჭოთა ადამიანი თავისი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონია.

მაგრამ იყო ბატონ-პატრონი — წიშნავს დიდ უფლებებთან ერთად გქონდეს დიდი მოვალეობანიც, გრძნობდე დიდ პასუხისმგებლობას. არავის, ხალხის გარდა, ჩვენში არ შეუძლია ისარგებლოს საზოგადოებრივი შრომის შედეგებით. მაგრამ ამასთანავე ჩვენს მაგივრადაც ვერავინ იშრომებს, აი რატომ არის, რომ ყოველი ჩვენი თანამემამულისათვის შრომისადმი მატიოსანი, კეთილსინდისიერი, ნამდვილად კომუნისტური დამოკიდებულების, შეგნებული დისციპლინის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ჩანერგვა, ინიციატივის, გერგილიანობის, სოციალისტური თანასწორობის განვითარება პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად. ჩვენი ზრდის დაჩქარების დიდმნიშვნელოვან რეზერვად მიიჩნია.

განსაკუთრებით საჭიროა, პარტიის იდეოლოგიური მუშაობის გააქტიურება ეფექტიანობისა და ხარისხისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის წარმატების მისაღწევად. ეფექტიანობისა და ხარისხის განუხრელი ამაღლება წინასწარ მრავალი წლისათვის ჩვენი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი, საბჭოთა ადამიანების მთელი თაობის აღზრდის თავისებური პროგრამაა. აქ ბევრი რამ დამოკიდებულია არა მარტო სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებზე, არამედ თითოეული საწარმოს, თითოეული საამქროს, ბრიგადის კოლექტივზე და, ბოლოს, თითოეულ მშრომელზე.

პარტია ყოველნაირად უჭერს მხარს სანიმუშო დამოკიდებულებას შრომისადმი, ახალისებს შემოქმედებითს ინიციატივას. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის შრომებში დასახელა ათობით წარმოების ნოვატორი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, ახალგაზრდობის დამრიგებელი, ომსა და შრომის გმირი, ამ შრომებში გამოქვეყნებულია მისალმებანი საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო დაწესებულებების მოწინავე კოლექტივებისადმი, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებისადმი. წიგნი მილიონთა კუთვნილებად ხდის მათს გამოცდილებას.

ადამიანებისათვის მაღალი საზოგადოებრივი იდეალებისადმი მისწრაფებას, იდეური რწმენის, შრომისადმი ნამდვილად შემოქმედებითი დამოკიდებულების, ორგანიზებულობისა და დისციპლინის ჩანერგვა კომუნიზმისათვის ბრძოლის ის ფრონტია, რომელზეც მოპოვებულ გამარჯვებებზე სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული ეკონომიკური მშენებლობის მსვლელობაც და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებაც. კომუნისტური საზოგადოება ვერ აშენდება გულგრილთა ხელით: ამ დიადი მიზნისათვის საჭიროა აქტიური და შეგნებული მშენებლები, ნამდვილი ენთუზიასტები და მებრძოლები, საჭიროა ღრმად იდეური ადამიანები. წიგნში ყოველმხრივ არის გაშუქებული კომუნისტური იდეურობის ძირითადი ნიშან-თვისებები. მისი აქტიური ხასიათი (იხ. ტ. 2, გვ. 103-104).

პარტია, როცა მომავალზე ფიქრობს და გვიანლოვებს მას, უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა ადამიანის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებას. ჩვენში შექმნილია სრულიად ახალი სამყარო: ახალი — სოციალისტური — ურთიერთობის სამყარო, ახალი — საბჭოთა — ადამიანის სამყარო, გიგანტურად გაფართოდა საბჭოთა ადამიანების სულიერი პორიზონტი, შეიცვალა მათი დამოკიდებულება შრომისადმი, საზოგადოებისადმი, ერთმანეთისადმი. სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება კომუნისტური მორალის ნორმები და პრინციპები.

ამ ფონზე განსაკუთრებით შეუწყნარებელი ხდება ცალკეული ადამიანების მხრივ ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებანი, სულიერი სიღატაკე და მისი აუცილებელი თანამგზავრები — ლოთობა, ხულიგნობა, შრომის დისციპლინის დარღვევები. არანაკლებ საშიშია უზნეობის ფარული გამოვლინებანი, რომლებიც, ერთი შეხედვით, ყოველთვის შეხამჩნევი არ არის ხოლმე. გულგრილობა, სხვისი მოიმედეობა, ცინიზმი, იმაზე მეტის მიღების პრეტენზიები, ვიდრე საზოგადოებას აძლევს, — ასეთ ზნეობრივ ნაკლს უაღრესად აქტიურად უნდა ვებრძოლოთ. ჩვენ, ამბობდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, „უსაქმურთა სასუფეველს კი არ ვაშენებთ, სადაც რძის მდინარეები და კისელის ნაპირები იქნება, არამედ კაცობრიობის ისტორიაში უველაზე ორგანიზებულ, ყველაზე შრომისმოყვარე საზოგადოებას. და ამ საზოგადოებაში ყველაზე შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი. ორგანიზებული და დიდად შეგნებული ადამიანები იცხოვრებენ“ (ტ. 1, გვ. 567).

ჩვენს ქვეყანას ამჟამად ყველაფერი აქვს ამისათვის, რომ გულდაჯერებით ითქოს ხანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ, მისწვდეს სულ ახალ-ახალ მწვერვალებს. მაგრამ ეს სწორედ რომ მწვერვალებია. და, ამ მწვერვალებს რომ მიაღწიო, უკვე დღეს უნდა მომზადო კადრები, აღზარდო ადამიანები. აქ განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის საბჭოთა ახალგაზრდობას, მის ხელთ არის ჩვენის მომავალი. ახალგაზრდობისათვის, მისი აქტიურობის განვითარებისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული კრებულის ბევრი მასალა.

სოციალისტური საზოგადოება ქალაქშვილებსა და ჭაბუკებს უფროოეს შეხაძლებლობებს უქმნის განათლებისათვის, ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის, შთაგონებული, აღმშენებლობითი და ნამდვილად თავისუფალი შრომისათვის, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მათ შეძლონ გახდნენ დიდად მომზადებული სპეციალისტები, ღრმად და შემოქმედებითად დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მსოფლიო კულტურის ხაუნჯეს, პროფესიულ ოსტატობას, შეეძლოთ რაც შეიძლება სრულად გამოიყენონ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები და მეურნეობრიობის სოციალისტური სისტემის უპირატესობები. მტკიცე კომუნისტური რწმენის, მაღალი მორალური თვისებებისა და ფუნდამენტური ცოდნის შენადნობი, კლასობრივი პოზიციებიდან საზოგადოებრივი განვითარების ყველა მოვლენის შეფასების უნარი — აი რით უნდა გამოირჩეოდეს უწინარეს ყოველისა კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელი.

წიგნში მოყვანილია საბჭოთა ახალგაზრდობის ვაჟკაცობის, ხიმტკიცის, ლენინის საქმისადმი, პარტიის საქმისადმი მისი ერთგულების მკაფიო მაგალითები. ტიუმენის ნავთობის ხარეწები, ჩრდილოეთის ახალმშენებლობები, ბრანდოზული ბაიკალ-ამურის მაგისტრალი, რუსეთის არაშავმიწანიადაგიანი ზონის გარდაქმნა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ შემუშავებული და ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის მიერ განვითარებული პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელება — ყველგან ახალგაზრდობას შეაქვს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისი განსაკუთრებული რომანტიკული მგზნებარება, თავისი ახალგაზრდული აღმაფრენა.

კომუნისტური იდეურობის, ზნეობრიობის, მაღალი შრომითი და სოციალური აქტიურობის ჩანერგვის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა მასების საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება. საზოგადოების საქმეთა მართვაში მშრომელთა მონაწილეობის ყოველნაირად გაფართოება, მათი ჩაბმა გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და მიღების პროცესში, მათი პოლიტიკური კულტურის ამაღლება — ამ თემებს ცენტრალური ადგილი უჭირავს სსრ კავშირის კონსტიტუციისადმი მიძღვნილ მასალებში. „ჩვენი კონსტიტუცია მთელი თავისი შინაარსითა და ფორმით, — აღნიშნავს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — მიზნად ისახავს იმას, რომ ხალხის მასების ისტორიულ შემოქმედებას ყოველნაირად უჭერდნენ მხარს და განუზრელად ავითარებდნენ“. მასების აქტიურობის აღმავლობა, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფა მათი იდეური რწმენის განმტკიცებას უმნიშვნელოვანესი გზაა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებში, მოხსენებებსა და გამოსვლებში, რომლებიც გამოქვეყნებულია კრებულში, განსაზღვრულია პარტიის მთავარი ამოცანები მასების კომუნისტურ აღზრდაში, ზუსტად არის ჩამოყალიბებული პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური საქმიანობის მთავარი მიმართულებანი, მოცემულია მკაფიო რეკომენდაციები მისი ორგანიზაციის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს ვ. ი. ლენინის ანდერძის მის შესახებ, რომ „მასების შეგნების განვითარება, როგორც ყოველთვის, მთელი ჩვენი მუშაობის საბაზი და მთავარ შინაარსად რჩება“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 11, გვ. 197-198).

წიგნში აღნიშნულია, რომ მუშაობის ლენინური სტილი საქმიანობის ნებისმიერი მიმართულებით, და მით უმეტეს კომუნისტური აღზრდის საქმეში, ადამიანებთან მუშაობაში, წარმატების დიდმნიშვნელოვანი პირობაა. „აქ განსაკუთრებით შეუწყნარებელია უსუსგულოობისა და ფორმალიზმის ბოროტებანები. დროა იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკმა ხელი აიღოს ჭერ კიდევ ზოგან ალმოუფხვრელ გაცვეთილ ჭეშმარიტებათა მექანიკური, უაზრო განმეორების პრაქტიკაზე, ლაყბობაზე. დროა წესად ვაქციოთ ადამიანებთან უბრალო და გასაგები ენით ლაპარაკი, ვწეროთ ისე, რომ თითოეულ ფურცელს ჩავაქსოვოთ ცოცხალი აზრი და გრძნობები. ეხეც ხარისხისა და ეფექტიანობის საკითხია, თანაც კომუნიზმის მშენებლობის ისეთ დიდმნიშვნელოვან უბანზე, როგორიც არის ახალი ადამიანის აღზრდა“, — წერს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი (ტ. 2, გვ. 570).

დიდი ყურადღება ეთმობა იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის პრობლემას, მისდამი წაყენებული ახალი მოთხოვნების ანალიზს, რომლებიც გამომდინარეობს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებიდანაც, საბჭოთა ადამიანების განუხრელად მზარდი სულიერი მოთხოვნილებებიდანაც და მათი პოლიტიკური და ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონიდანაც. პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებამ აქ ყველაზე პერსპექტიული გზა დასახა. ეს არის კომპლექსური მიდგომა აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი, ესე იგი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებათა შესაბამისად იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობის უზრუნველყოფა.

